ევროპის საბჭო

ადამიანის უფლებათა სადარაჯოზე

რეზიუმე

COUNCIL OF EUROPE

CONSEIL DE L'EUROPE

წევრი სახელმწიფოები

Ავსტრია, აზერბაიჯანი, ალბანეთი, ანდორა, ბელგია, ბოსნია და ჰერცოგოვინა, ბულგარეთი, გაერთიანებული სამეფო, გერმანია, დანია, ესპანეთი, ესტონეთი, თურქეთი, ირლანდია, ისლანდია, იტალია, კვიპროსი, ლატვია, ლიტვა, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, ჩრდილოეთი მაკედონია, მალტა, მოლდოვეთი, მონაკო, მონტენეგრო, ნიდერლანდები, ნორვეგია, პოლონეთი, პორტუგალია, რუმინეთი, საბერძნეთი, სან მარინო, საფრანგეთი, საქართველო, სერბეთი, სლოვაკეთი, სლოვენია, სომხეთი, უკრაინა, უნგრეთი, ფინეთი, შვედეთი, შვეიცარია, ჩეხეთი, ხორვატია.

დამკვირვებელი ქვეყნები

კანადა, წმინდა ეპარქია, იაპონია, მექსიკა, ამერიკის შეერთებული შტატები

ძირითადი ოფისი და სხვა ოფისები

ევროპის საბჭოს ძირითადი ოფისი მდებარეობს სტრასბურგში, საფრანგეთში. იგი წარმართავს გარე ოფისებისა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებში სამეკავშირეო ოფისების საქმიანობას. ძირითად ოფისში დასაქმებულია 2300 ადამიანი. ევროპული ახალგაზრდული ცენტრი სტრასბურგსა და ბუდაპეშტში ახალგაზრდებს სთავაზობს ტრენინგებს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა საკითხებში.

ბიუჯეტი

ევროპის საბჭოს მთლიანი ბიუჯეტი 2024 წელს 624,6 მილიონ ევროს შეადგენს. მას, ძირითადად, წევრი სახელმწიფოები აფინანსებენ.

ევროპის საბჭო

Alain Berset
გენერალური მდივანი

ევროპის საბჭო არის ადამიანის უფლებათა მოწინავე ორგანიზაცია კონტინენტზე. იგი 46 წევრი სახელმწიფოსაგან შედგება, რომელთა შორისაა ევროკავშირის ყველა წევრი ქვეყანა. ევროპის საბჭოს ყველა წევრმა სახელმწიფომ ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციას – ხელშეკრულებას, რომელიც გამიზნულია ადამიანის უფლებების, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დასაცავად.

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო ზედამხედველობს კონვენციის შესრულებას წევრ სახელმწიფოებში. ცალკეულ პირებს შეუძლიათ შეიტანონ სარჩელი სტრასბურგის სასამართლოში მას შემდეგ, რაც შესაბამის წევრ სახელმწიფოში ამოწურავენ გასაჩივრების ყველა საშუალებას.

ევროპის კავშირი ემზადება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ხელმოსაწერად, რითაც ის შექმნის საერთო სამართლებრივ სივრცეს 700 მილიონზე მეტი მოქალაქისათვის.

ადამიანის უფლებათა სადარაჯოზე

ევროპის საბჭო იცავს გამოხატვისა და მედიის თავისუფლებას, შეკრების თავისუფლებას, თანასწორობას და იცავს უმცირესობებს. მან დაიწყო არაერთი კამპანია ისეთ საკითხებზე, როგორიცაა ბავშვთა დაცვა, ონლაინ სიძულვილის ენა და ევროპის უდიდესი უმცირესობის – ბოშათა – უფლებები.

ევროპის საბჭო ეხმარება წევრ სახელმწიფოებს კორუფციასა და ტერორიზმთან ბრძოლაში და ატარებს სასამართლოს რეფორმებს. ევროპის საბჭოს კონსტიტუციის ექსპერტთა ჯგუფი, რომელიც ცნობილია ვენეციის კომისიის სახელწოდებით, სამართლებრივ რჩევებს სთავაზობს ქვეყნებს მთელს მსოფლიოში.

ევროპის საბჭო იცავს ადამიანის უფლებებს საერთაშორისო კონვენციების მეშვეობით, როგორიცაა კონვენცია ქალთა მიმართ ძალადობისა და ოჯახური ძალადობის პრევენციისა და აღმოფხვრის შესახებ და კონვენცია კიბერდანაშაულზე. იგი აკვირდება სახელმწიფოთა პროგრესს ამ სფეროებში და გასცემს რეკომენდაციებს მონიტორინგის ორგანოების დამოუკიდებელ ექსპერტთა მეშვეობით.

დღესდღეობით ევროპის საბჭოს არც ერთ წევრ სახლემწიფოში არ მიმართავენ სიკვდილით დასჯას.

გლობალური თანამშრომლობა

მონიტორინგის ორგანოები

- სახელმწიფოთა ჯგუფი კორუფციის წინააღმდეგ (GRECO)
- წამებისა და არაადამიანური ან ღირსების შემლახველი მოპყრობისა თუ დასჯის საწინააღმდეგო ევროპული კომიტეტი (CPT)
- ადამიანებით უკანონო ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის ექსპერტთა ჯგუფი (GRETA)
- ევროპული კომისია მართლმსაჯულების ეფექტიანობისათვის (CEPEJ)
- ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ღონისძიებათა და ტერორიზმის დაფინანსების შეფასების ექსპერტთა კომიტეტი (MONEYVAL)
- ევროპული კომისია რასიზმისა და შეუწყნარებლობის წინააღმდეგ (ECRI)
- სოციალურ უფლებათა ევროპული კომიტეტი (ECSR)
- საკონსულტაციო კომიტეტი ჩარჩო კონვენციაზე ეროვნულ უმცირესობათა დაცვის შესახებ
- რეგიონულ ან უმცირესობათა ენების ევროპული ქარტიის ექსპერტთა კომიტეტი

ევროპის საბჭო მუშაობს ევროპის კავშირთან მჭიდრო ურთიერთობის გზით და თანამშრომლობს გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან, ასევე ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციასთან, აგრეთვე მსოფლიოს ბევრ პარტნიორ ქვეყანასთან.

მაგალითად, ბრაზილიასთან, ჩინეთთან, სამხრეთ აფრიკასა და შეერთებულ შტატებთან შეთანხმება აქვს ევროპის საბჭოს მედიკამენტებისა და ჯანმრთელობის დაცვის ხარისხის ევროპულ დირექტორატს, რომელიც წამყვან როლს ასრულებს მედიკამენტების გაყალბების წინააღმდეგ ბრძოლაში.

სტრუქტურა

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს გარდა, ევროპის საბჭო შედგება რამდენიმე სამუშაო ინსტიტუციისაგან.

- **გენერალური მდივანი** ხელმძღვანელობს და წარმოადგენს ევროპის საბჭოს.
- **მინისტრთა კომიტეტი** შედგება წევრი სახელმწიფოების საგარეო საქმეთა მინისტრებისა და მათი წარმომადგენლებისაგან. იგი გადაწყვეტილების მიმღები მთავარი ორგანოა.
- **საპარლამენტო ასამბლეა** შედგება 46 წევრი სახელმწიფოს პარლამენტების 612 წევრისაგან; ასამბლეა ირჩევს გენერალურ მდივანს, ადამიანის უფლებათა კომისარსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მოსამართლეებს; იგი უზრუნველყოფს დემოკრატიულ ფორუმს დებატებისათვის და აკვირდება არჩევნებს; მისი კომიტეტები ასრულებენ მნიშვნელოვან როლს მიმდინარე საკითხთა განხილვაში.
- **ადამიანის უფლებათა კომისარი** დამოუკიდებლად უპასუხებს და ყურადღებას მიაპყრობს ადამიანის უფლებათა დარღვევებს.
- **ადგილობრივი და რეგიონული ხელისუფლების ორგანოთა** კონგრესი პასუხს აგებს ადგილობრივი და რეგიონული დემოკრატიის განვითარებაზე. იგი მოიცავს 612 არჩეულ წარმომადგენელს 150 000–ზე მეტი რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოდან.
- **საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციათა კონფერენცია** წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოებას და ხელს უწყობს მონაწილეობით დემოკრატიას.

Avenue de l'Europe • 67075 Strasbourg • FRANCE

მთავარი ვებ გვერდი:
www.coe.int

ევროპის საბჭოს პუბლიკაციების ვებ გვერდი:
book.coe.int

დოკუმენტებისა და ელექტრონული
წყაროების ვებ გვერდი:
edoc.coe.int

PREMS 064024 • 2024 © Council of Europe •
Photo credit : Council of Europe / Shutterstock • Graphic design: Les Explorateurs

გამოცემულია კომუნიკაციების დირექტორატის მიერ